№ 242

პარასკევი, 21 ნოემბერი, 1897 წ.

გაზეთის ფასი:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1897

ივერია

№ 242

პარასკევი, 21 ნოემბერი, 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 23 ნოემბერს.

17-ს ნოემბერს, ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა

მღვდელი გრიგოლ დავითის ძე გიორგიევი.

შვილები განსვენებულისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ და სთხოვენ მობრძანდნენ ტფილისის მაზრის სოფ. დიღომს შაბათს, 22 ნოემბერს, დილის $10^1/_2$ საათზედ, წირვასა და ანდერძზედ დასასწრებლად.

(2—2)

ქართული თეატრი

კვირას, 23 ნოემბერს,

ქართულის დრამატიულის დასისაგან **მ. მ. საფაროვ-აბაშიძის** მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

I

ციმბირელი

კომედია 4 მოქ. თხზ. ა. ცაგარლისა.

II

გულმა იგრძნო

დრამატიული ეტიუდი 1 მოქმედ. თარგმ. მ. მ. საფაროვისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი საფაროვ-აბაშიძისა, ჩერქეზიშვილისა, გამყრელიძისა, რჩეულოვისა, გარელი; ბ-ნნი აბაშიძე, გამყრელიძე, სვიმონიძე, შათირიშვილი, კანდელაკი, მჭედლიშვილი, ადამიძე და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ

რეჟისორი კ. მესხი

მოკლე ხანში იქნება ბენეფისი კ. ა. აბაშიძისა.

დამზღვეველი საზოგადოება

როსსია

მირისა და სათადარიგო თანხა 30.000,000 მან.

საზოგადოების გამგეობა საყოველთაო საცნობელად აცხადებს, რომ რადგან, გამგეობის დიდად სამწუხაროდ, ამა წლის 19 სექტემბერს გარდაიცვალა უფროსი ინსპექტორი ნ. ტ. შკილდერი, საზოგადოების ტფილისის განყოფილების მმართვა ქ. ტფილისში ამ ჟამად მინდობილი აქვს

უფროსს ინსპექტორს **ნიკოლოოზ პავლეს ძეს კოპპეს.**

საზოგადოების განყოფილების კანტორა იმყოფება:

ქ. ტფილისს, სერგეევის ქუჩაზედ, სახლი № 6.

(3—198—2).

24 ნოემბერს ქალაქ დუშეთში დაარსდება და დაიწყებს მოქმედებას ნოტარიუსის კანტორა.

(3—206—3).

ტფილისი, 20 ნოემბერი

1896 წელს ნიჟეგოროდის სამრეწველო კრებაზედ ალიძრა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ მიწის, მამულის გულის მოხმარების ნება განსაკუთრებით მთავრობას უნდა მიეცეს, თუნდა თვით მიწა და მამული კერძო კაცის საკუთრებაც იყოსო. ამ აზრმა, წინააღმდეგმა რუსეთში ამის შესახებ არსებულ კანონისამ, დიდი ლაპარაკი გამოიწვია მაშინვე რუსეთის ჟურნალ-გაზეთობაში და აგრეთვე მამულის პატრონთა და სამთო მრეწველთა შორის. ეს აღძრული ლაპარაკი რუსეთის მწერლობაში ჯერაც არ შეწყვეტილა, პირ-იქით, იქამდე გამწვავდა, რომ მთავრობამაც-კი მიაქცია თავისი ყურადღება.

ამ აზრის მომხრენი ამბობენ, კერძო მამულის პატრონთ თაოსნობა არ შეუძლიანთ და არც ქონებრივად მიუწვდებათ ხელი, რომ გამოიყენონ მიწის გულში დამარხული სიმდიდრე. დედამიწის გულში ათასი სიმდიდრეა დამარხული, ათას გვარი მადნეულობაა ყოვლად გამოუსადეგრად, გამოუყენებლად, უსარგებლოდ დატოვებული და ჩვენ-კი იძულებული ვართ ასეთი ლითონები და მადნეულობანი სხვა ქვეყნებიდგან შემოვიტანოთ ჩვენის საჭიროების დასაკმაყოფილებლადაო. სამწუხაროდ, ეხლა რომ აღმოჩნდეს კიდეც ვისსამე მამულში მადანი რამ, მამულის პატრონის ნება-დაურთველად მათი შემუშავება არ შეიძლება და მამულის პატრონები კი ხშირად არც თითონ იყენებენ, თითონ ხელს არა ჰკიდებენ მიწის გულიდგან ამ სიმდიდრის ამოღების საქმეს და ამის მსურველთაც ისეთს პირობას უდებენ, იმდენს სასყიდელსა სთხოვენ, რომ ყოვლად შეუძლებელი ხდება მორიგებაო. ასეთი ვითარება საქმისა ფეხს უკრავს სამთო მრეწველობის განვითარებას, სახელმწიფოსათვის ვნება მოაქვს და ამასთან არც კერძო მამულის პატრონისათვის არის სასარგებლოო.

აი, ამას ამბობენ კერძო მამულის პატრონის უფლების შეზღუდვის მომხრენი და ამის ძალით მოწადინებულნი არიან იმას, რომ განსაკუთრებით მთავრობამ დაისაკუთროს უფლება მიწის გულის შემუშავებისა და მოხმარებისა. ვიდრე მთავრობას ეს საგანი არ განუხილავს, საჭიროდ ვთვლით ორიოდე სიტყვა ვთქვათ, მით უმეტეს, რომ ეს საგანი ჩვენთა მემამულეთა ინტერესსაც შეეხება, რადგან, როგორც ვუწყით, ჩვენის ქვეყნის ნიადაგი სავსეა ათას გვარის სიმდიდრითა და მადნეულობით და თითქმის დღე და კვირა არ გაივლის, რომ ამა თუ იმ მამულის პატრონმა თავისს მამულში ძვირფასი რამ მადანი არ აღმოაჩინოს.

საქმე ის არის, რომ თუ ამ აღძრულმა ლაპარაკმა თავი გაიტანა, მაშინ ძირი გაეთხრება კერძო საკუთრების უფლებას. კანონთა კრებულის მე-X ტ. პირველ ნაწილის მე-424 მუხლში ნათლად არის ნათქვამი: „სრულს მესაკუთრეს მიწისას და მფლობელს ეკუთვნის ყოველივე, რაც ამ მიწაზედ აღმოცენდება, რაც მიწის გულშია დამარხული, რაც მის საკუთრების საზღვართა შორის მომდინარე წყალში იპოვება, ერთის სიტყვით, ყველა, რაც-კი ამ მიწის ნაწილია და კუთვნილებაო“. შემდეგ იქვე მე-430 მუხლი ამბობს, რომ „განძი, მიწაში ჩამარხული, ეკუთვნის პატრონს მიწისას და იმის ნება-დაურთველად ვერც კერძო კაცი და ვერც ადგილობრივი მთავრობა ხელს ვერ ახლებს, ძებნას ვერ დაუწყებსო“.

ამ სამართლიანის კანონის გაუქმება მარტო იმიტომ, რომ ორიოდე მწარმოებელს მადა გაჰღვიძებია სხვის საკუთრებით სარგებლობისა, არაფრად სასურველია, რადგან იგი ძირს უთხრის კერძო საკუთრების უფლებას, რომელიც რუსეთის ერს საზოგადოდ და კერძოდ საქართველოსას ძველ-რბილში აქვს გამჯდარი და მცნებად გარდაქმნილი. ან რა საფიქრებელია იმისი თქმა, რომ მიწის პატრონს მარტო ზედა-პირი მიწისა ეკუთვნის, ხოლო რაც რამდენისამე გოჯის სიღრმეშია, იგი იმისი არ არისო. უძრავი ქონება საშვილიშვილოდ გადადის და გვარეულობაში რჩება. რაც მამამ არ შესძლო და არ გააკეთა, იმას შვილი გაუწევს წესიერს პატრონობასა და მზრუნველობას. ამ მამა-პაპეულს მიწა მამულზედ არის დაფუძნებული მთელი კეთილდღეობა ოჯახისა და გვარისა და ასეთის საფუძველის შერყევა დიდი უსამართლობა იქნება.

თუ მწარმოებელთ უნდათ მაინც და მაინც კერძო კაცთა მიწა-მამულში დამარხულ მადნეულობის საერთო საკეთილდღეოდ ამოღება და შემუშავება, მოელაპარაკნენ, მოურიგდნენ, პირობით შეეკრან მამულის პატრონთ და თუ ეს პირობა ამ უკანასკნელთათვის სასარგებლო იქნება, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ უარს არავინ ეტყვის. მართალი არ არის ისიც, ვითომ კერძო მამულის პატრონი ვერ იყენებს იმისს მიწის გულში მდებარე ქონებასაო. ვის ეკუთვნის მთელი ნავთის წყაროები ბაქოში და ვინ აწარმოებს ამ საქმეს, თუ არა კერძო მამულის პატრონნი? ჭიათურის შავი-ქვა ვის ხელშია, თუ არა ისევ კერძო მამულის პატრონთა ხელში? მთავრობამ, პირ-იქით, უნდა გაუადვილოს კერძო მამულის პატრონთ საერთო საკეთილდღეოდ ამ სიმდიდრის წარმოება რკინისა და სხვა გზების გაყვანით, ნაწარმოების გადასაზიდ გარდასახადისა და ბაჟის შემცირებით და სხვანი, როგორც ამასა შუამდგომლობენ ამ ჟამად ჭიათურის შავის-ქვის მწარმოებელნი, და არა შეეცილოს სხვის საკუთრებას, სხვის მამა-პაპეულს ქონებას, თვით კანონის მიერვე კერძო კაცთა საუფლოდ აღიარებულს.

ჩვენ ეჭვიც არა გვაქვს, რომ მთავრობა სწორედ ამ თვალით შეჰხედავს ამ საგანს და უფლება კერძო საკუთრებისა ხელ-შეუხებელი და შეულახველი დარჩება.

ფარნაოზი

ახალი ამბავი

⁂ გუშინ, 20 ოქტომბერს, მიაბარეს მიწას გვამი ეხლა-ხან გარდაცვალებულის კნეინა ქეთევან ჯამბაკურ-ორბელიანისა, თავისს დროს განთქმულის კავკასიის მოღვაწის, თავ. მ. ს. ვარანცოვის თანამედროვის, სენატორის თავ. გიორგი ერისთავის ქალიშვილისა. განსვენებული მონაწილეობას იღებდა თითქმის ყოველს საკეთილო საქმეში და დიდად ჭკვიანი და განვითარებული ადამიანი იყო. იმისს დროს განახლდა და აჰყვავდა ქართული ლიტერატურა, მის დროსვე დაარსდა ქართული სცენა, რომელშიაც პირველს ხანს იგი მონაწილეობას იღებდა როგორც სცენის მოყვარე და სცდილობდა იმის განმტკიცებას და რომელსაც განსვენებულმა კნეინამ სიკვდილის ჟამსაც გამოუცხადა თავისი თანაგრძნობა იმითი, რომ ასი თუმანი უანდერძა ქართულს სცენას.

განსვენებული ქეთევანი საკმაოდ ხნიერი იყო, მაგრამ გონება და მეხსიერება უკანასკნელ დრომდე შერჩა და მხნედაცა ჰგრძნობდა თავს, თუმცა ამ ბოლო დროს საზოგადოებაში აღარ გამოდიოდა. განსვენებულის ქეთევანის გვამის დაკრძალვას დაესწრო მთელის ტფილისის დიდკაცობა, წარჩინებულნი, ყველა დაწესებულებისა და წოდების წარმომადგენელნი და აგრეთვე მრავალი ხალხი. ანდერძის აგებასა და წირვას ტფილისის სიონის ტაძარში დაესწრნენ საქართველოს ეგზარხოსი, მთავარ-ეპისკოპოსი ვლადიმირი, ეპისკოპოსი ალექსანდრე და მრავალი სამღვდელოება.

განსვენებულის ქეთევანის გვამი დაკრძალულ იქმნა იქვე, სიონის ტაძარში.

⁂ მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი, 18 ნოემბერს, საღამოს, დაესწრო განსვენებულის კნ. ქ. გ. ჯამბაკურ-ორბელიანის სულის მოსახსენებლად გარდახდილს პანაშვიდს.

⁂ ამ დღეებში დამთავრდება ხელოსანთა ამქრების მამასახლისების არჩევანი და იმედი აქვთ ნოემბრის გასვლამდის ხელოსანთა მოურავის არჩევანიც დანიშნონ.

⁂ ტფილისის გუბერნატორის პროექტი კეთროვანთათვის თავშესაფარის დაარსების შესახებ გადაეცა განსახილველად კავკასიის სამკურნალო გამგეობას.

⁂ ქალაქის ინჟინერმა კუზანოვმა ამ დღეებში სთხოვა ქალაქის გამგეობას განმთავისუფლეთ თანამდებობიდგანაო. ამ სამი-ოთხის წლის განმავლობაში ეს მეორე ინჟინერი ანებებს თავს ქალაქის სამსახურს.

⁂ ტფილისის გუბერნიის საერო სკოლების დირექტორმა, გაზ. „ტფ. ფურც.“ სიტყვით, შუამდგომლობა აღძრა თურმე იმის შესახებ, რომ ქალაქის სასწავლებლების მასწავლებლებს ისეთივე უფლებანი მიენიჭოთ, როგორც სახელმწიფო სასწავლებლების მასწავლებლებსა აქვთ.

⁂ 18 ნოემბერს ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე აზნაურის ილია დიმიტრის ძის ტატიშვილისა, რომელმაც შარშან გორის მაზრის სოფ. ზარდიანთ კარში ხანჯლით მოჰკლა ილია თაზიაშვილი. სასამართლომ აზნ. ილია ტატიშვილი დამნაშავედ იცნო და ტობოლსკის გუბერნიაში საცხოვრებლად გაგზავნა გადაუწყვიტა.

⁂ საერო განათლების სამინისტროს ამიერ-კავკასიის სწავლა-განათ-

ლების საქმის საჰიროებისთვის 18,000 მანეთი გადაუდვია. ამის გარდა, გადაუდვია კიდევ ცალკე სასწავლებლებისათვის: ტფილისის გუბ.—3,600 მან., ქუთაისის გუბერ.—9,860 მ., ერევნის გუბ.—4,090 მან., ბაქოს გუბ.—400 მ., განჯის გუბ.—1,300 მან. და ჩერნომორსკია გუბ.—4,600 მან.

⁂ სამშაბათს, 18 ნოემბერს, ტფილისის ხელოსანთა საერთო კრებამ განიხილა შემოსავალ-გასავლის ანგარიში ხელოსანთა გამგეობისა 1896 წ. 20 აგვისტოდგან 1897 წ. 18 ნოემბრამდე. განხილვამ აღმოაჩინა, რომ გამგეობას ამ ხნის განმავლობაში შეუნახავს 2,300 მან. შემდეგ ყრილობამ, ანგარიში იცნორა კანონიერ ნაწარმოებად, დაადგინა მადლობა გარდაუხადოს ხელოსანთა მოურავს სერობიანცს საქმის ასე კარგად წარმოებისათვის.

⁂ ცხენის რკინის გზის გამგეობას განზრახვა აქვს ვაგონები მარტო იმ ადგილებში გააჩერონ ხოლმე, სადაც უკვე ბოძებია ჩასმული, ეს ცვლილება 1 დეკემბრიდგან მოხდება.

⁂ კავკასიის გზათა უწყების ოლქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ 50,000 მან. იქმნას გადადებულ კოდორის ხიდის შესაკეთებლად.

⁂ განზრახვა აქვთ მომავალ წელს კავკასიის ბაღ-ბოსტნეულობის გამოფენა 1 ოქტომბერს გაჰმართონ. გამოფენამ ორი კვირა უნდა გასტანოს და 15 ოქტომბერს მოისპოს.

⁂ კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოება ჰბეჭდავს ამ ჟამად ქართულს ენაზედ როსსინსკის თხზულებას „სოფლის მეაბრეშუმე. როგორ უნდა დაიფაროს ყაჭის ჭია სნეულებისაგან“. წიგნი ბ-ნ ი. მაჭავარიანის ნათარგმნია და მალე იქნება მზად გასასყიდად.

⁂ დაიბეჭდა და ცალკე წიგნად გამოვიდა ბ-ნ ი. მაჭავარიანის მიერ თარგმნილი ჯიაკომეტის ხუთ-მოქ. ტრაგედია „ივდითი“. ეს ტრაგედია წინად ჟურნალ „მოამბეში“ დაიბეჭდა. წიგნი კარგის ქართულის ენით არის ნათარგმნი, შეიცავს 64 გვერდს და ღირს ექვსი შაური.

⁂ გაზ. ,,ნორ-დარ‘‘-ს ატყობინებენ ეჩმიაძინიდგან, რომ სომეხთა კათოლიკოსი მკრტიჩ I ამ ახლო მომავალს ტფილისში ჩამოვა.

⁂ გაზ., ,,კავკასს‘‘ სწერენ, რომ ამ დღეებში გორის მაზრის, სოფ. როკას მცხოვრებლებმა ნონე და დემო ფილიშვილებმა მოჰკლეს სოფ. სბის მცხოვრებელი ცუგალა ჯათიშვილი.

⁂ გორიდგან სწერენ გაზ. „ტფ. ფურც.“-ს, რომ 18 ნოემბერს, სოფ. კეხისჯვარში გაჰქურდეს თავ. ნიკოლოოზ ირაკლის ძის ციციშვილის სახლი, როდესაც სახლის პატრონი ცოლ-შვილით სხვაგან იყო. წაუღიათ 9,000 მან. სხვა-და-სხვა ძვირფასი ნივთი და ავეჯი. საქმის გამოსაძიებლად გორიდგან მაზრის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი ბ-ნი აზარპეტოვი და მაზრის უფროსის თანაშემწე თავ. ჯანდიერი წასულან.

ქ. ოზურგეთი. უდროოთ დაგვიდგა ზამთარი, თოვლი უკვე გვეწვია და გზები ატალახდნენ. ჯერ ისე რა იყო ჩვენი გზები და ეხლა ხომ შეუძლებელია მაზედ სიარული. ოზურგეთსა და ჩოხატაურს შუა სულ ერთიანად წამხდარია ხიდები და ბოგირები, ცხენით-კი არა, ფეხითაც ძნელია ამ ხიდებზედ სიარული. ცუდი გზაა აგრეთვე საჯავახოსა და ჩოხატაურს შუა. ზოგან ისეთი ოღრო-ჩოღრო გზაა, რომ ურემი თუ ხელით არ შეიმაგრეთ, უსათუოთ გადაბრუნდება. ამ გზის შესაკეთებლად ქვა უკვე მზად არის და იმედია, მალე გააკეთებენ.

⁂ სოფ. აგდამი (შუშის მაზრა). ამ ხუთიოდე დღის წინეთ ევლახიდამ ხანკენდისაკენ მოდიოდა ორი ყაზახი ფურგუნით. ეს ფურგუნი მგზავრებით ღამის სათევლად დარჩა სოფ. შიხლარ-კარვენდში. ყაზახებმა თოფის ტყავი დაიხვიეს მკლავზედ, თოფი მიიკრეს გულზედ და ასე მიიძინეს. ამავე ფურგუნში იყო კატორგიდგან გამოქცეული სპარსეთის ქვეშევრდომი სომეხი მუქი (მიხეილი). ამ ვაჟბატონმა ააცალა ყაზახს „პატრონტაში“ და ის იყო თოფსაც აცლიდა ხელიდგან, რომ ყაზახს გამოეღვიძა. მანამ ყაზახი გამოერკვეოდა ძილიდგან, გამოსტაცა თოფი, ყონდახი ჩასცხო შუბლში და დაიკარგა უგზო უკვლოდ. თავ-გატეხილმა ყაზახმა გუშინ-წინ აქაურ ბაზარში იპოვნეს ეს ავაზაკი, რომელიც იცნეს ყაზახის პატრონტაშით და შეიპყრეს.

⁂ სოფ. კაქირი (სიღ. მაზრა). 13 ნოემბერს ქორწილში აქაურმა მცხოვრებელმა გიო კანჩაშვილმა ხანჯლით დასჭრა მოსე მოსეშვილი. ჭრილობა საშიშია. გამოძიება სწარმოებს.

⁂ გუშინ-წინ, 19 ნოემბერს, ტფილისსა და ნავთლუღს შუა იპოვნეს კბილებ ჩამტვრეული და სრულიად ტიტველი 13 წლის ქალის გვამი.

—

შეცდომის გასწორება. ჟურნალ „მოამბის“ რედაქცია გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ამ ჟურნალის ოქტომბრის ნომერში შეცდომით არის დაბეჭდილი „ქრისტეფორე კონსტანტინეს ძე მამაცაშვილი“, უნდა იყოს: „კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილი“.

◆

ქალაქის საბჭო.

კრება დაიწყო $8^1/_2$ საათზედ, დაესწრო 40 ხმოსანი.

საბჭომ მოისმინა რა ბუჰგალტერის მერჟეევსკის თხოვნა შემწეობის შესახებ, გადასწყვიტა მისცეს მერჟეევსკის ერთხანად 450 მანეთი და განათავისუფლოს თანამდებობიდგან.

შემდეგ საბჭომ მოისმინა ქალაქის მამულის ავლაბრის აგარაკის იჯარით გაცემის საქმე. ამ საგანმა ხანგრძლივი და ცხარე ბაასი გამოიწვია ხმოსანთა შორის. ქალაქს აქვს ავლაბრის განაპირას საკუთარი მამული, რომელსაც ავლაბრის აგარაკი ეწოდება. ეს აგარაკი წინად ავლაბრის საქონლის მომშენებელ საზოგადოებასა ჰქონდა იჯარით 2750 მანეთად. რადგან ამ წლის გასულს იჯარის ვადა გადის, გამგეობამ საჯარო ვაჭრობა დანიშნა მომავალის წლებისათვის. ვაჭრობაში ზემოხსენებულ ამხანაგობას სულ არ მიუღია მონაწილეობა და ყველაზედ მეტი ფასი, სახელდობრ 3300 მანეთი, კერძო მოიჯარადრემ მარტირუზოვმა შეაძლია. საფინანსო კომისიამ ამ საგნის შესახებ ის აზრი წარმოსთქვა, რომ საქონლის მომშენებელმა საზოგადოებამ თუ იმდენი მოგვცა, რამდენსაც მარტირუზოვი გვაძლევს იმას უნდა გადაეცეს ეს მამულიო.

ხმ. იონისიანი. არ შეიძლება შევიტყოთ, საფინანსო კომისია რით ხელმძღვანელობს, როდესაც უპირატესობას საქონლის მომშენებელ საზოგადოებას აძლევს და არა ვინმე კერძო კაცს.

ხმ. თამამშევი. ჩვენ მუდამ თანაუგრძნობდით ამ საზოგადოებას და ყოველ მუდამ უპირატესობას ვაძლევდით.

ხმ. ოპოჩინინი. თუ იჯარით ვაჭრობა მოახდინეთ, მაშინ ისე უნდა მოიქცეთ, როგორც ამ შემთხვევაში ყველა იქცევა, ვინც მეტი ფასი შემოგაძლიათ, იმას უნდა გადასცეთ ეგ ადგილი.

ხმ. თაიროვი. მაგ აგარაკის საქმეები არ არის კარგად გამორკვეული. ჩემის აზრით, უმჯობესი იქმნება ცალკე კომისია ამოვარჩიოთ და იმას მივანდოთ ყოველივეს შეტყობა და გამონანგარიშება.

ხმ. ვ. მ. არღუთინსკი-დოლგორუკი. მაგ იჯარის საქმეში ქალაქის გამგეობა ისევე იქცევა, როგორც სხვები. სახელმწიფო დაწესებულებაშიაც-კი იჯარის დროს უპირატესობას იმასკი არ აძლევენ, ვინც მეტი ფულის შეტანის სურვილს განაცხადებს, არამედ იმას, ვინც უფრო სანდო და საიმედოა.

ხმ. ოპოჩინინი. კარგი და რა სარგებლობა ექმნება ქალაქს იმით, რომ ამხანაგობას გადასცეს. სხვები ბევრ ფულს მაინც იძლევიან.

ხმ. ალიბეგოვი. ჩემის აზრით, ამხანაგობა სულაც არ არსებობს. მაგ ეგრედ წოდებულ ამხანაგობას მხოლოდ ორიოდე მდიდარი მწარმოებელი შეადგენს, რომელნიც თავიანთ ჯიბის გასქელებას უფრო მისდევენ, ვიდრე სხვა რასმეს.

ხმ. ხუდადოვი. მართლა და მგონი ჩვენ სიტყვა „ამხანაგობა“ გვიხვევს

ფელეტონი

ნაწყვეტი

—

გაძაღლებულო იუდავ,
პატრონებს იმად გვყეფავო,
რომ ჩვენის ფქვილით ათქვლეფილ
მტრის სალაფავსა ჰთქვლეფავო?!.
გაგაჩანაგებ, ტიალო,
თავს ისე აგიკეფავო,
ყვავსა და ყორანს გაჰქონდეს
შენი უტვინო კეფაო!..

დ. მაჩხანელი

◆

კიდევ „ბავშვების მოკეთის“ გამო

აკი გითხრეს, ბატონებო,
იმ თავითვე ფრთხილადაო!

აკაკი

კარგა ხანია, რაც ერთმა ჭეშმარიტმა და ქართულის სიტყვიერებისათვის თავდადებულმა პედაგოგმა რაკი ვერა შეასმინა-რა ძმური რჩევა დარიგებით ახირებულს ავტორს, —გაუთხარა სამარე ახლად დაბადებულს, მაგრამ მოწონებულს თხზულებას, რომელსაც სახელად „ბავშვების მოკეთე“ ეწოდება. ახლად შობილი და ანდერძაგებული წყნარად განისვენებს საფლავში და მტერ-მოყვარენიც თითო მუჭა მიწას აყრიან, რომელსაც რაჰა-რუხი გააქვს მიცვალებულის კუბოზედ. დამწვარ-დადაგული მშობელი თავს ადგა უდროოდ გარდაცვალებულს და ცხარე ცრემლი ჩამოსდის, იგლიჯება და წყევა-კრულვით იხსენიებს მესაფლავეებს!.. არც გასამტყუნარია, რამდენი ტანჯვა-წვალება გამოიარა საცოდავმა მშობელმა, რამდენი ღამე გაატარა უძილოდ და აი, სწორედ მაშინ, როდესაც იმისაგან მშობელი შველა-დახმარებას, შენახვა დამარხვას ელოდდა, სწორედ მაშინ სჭრის შეუბრალებელი ხალხი ყმაწვილს ყელს, სდებს საფლავში და ზედ მიწას ატკეპნის. ძნელი მოსათმენია, ძნელი ასატანია! გასაჯავრებელი კი უფრო ის არის, რომ უდროვოდ გატიტულიანებულის დასაფლავების დროს ერთი თბილი და ტკბილი „რეჩიც“ კი არავინა სთქვა... რა ვქნათ .. მოთმინების მეტი აღარა იქნება-რა. მეც ის-ღა დამრჩენია, რომ, ხალხის ჩვეულებისამებრ, ერთი მუჭა მიწა ჩავაყარო ბეჭებში საბრალო ჰირისუფალს, რათა მალე დაივიწყოს უდროოდ გარდაცვალებული შვილი... ამასთან არ შემიძლიან ისიც არა ვთქვა, რომ, თუმცა ადრე შეიმკო ღირსებით, განსვენებული საკმაოდ მოიმახინჯებდა გონებრივად და ფიზიკურად, მაგრამ კმარა ხუმრობა.

ბ-ნი ბოცვაძე თავის შენიშვნაში (იხ. „ივერია“ № 216) ამბობს, რომ „ბავშვების მოკეთე“-ში 32 სასაუბრო სრულიად გადმოღებულია უშინსკის „Родное Слово“-დგანაო. სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ გადმოღებაც არის და გადმოღებაც. ჩვენმა პედაგოგმა რომ უშინსკისაგან ისესხოს მასალა წიგნისათვის, არ დაეძრახება, მაგრამ გადმომახინჯება-კი არა გზით არ ეპატიება, რადგანაც „ბავშვების მოკეთე“ ყრმათათვის პირველ საკითხავ წიგნად არის განზრახული. გადმოამახინჯება ზემოხსენებულ წიგნაკში ბლომად მოიპოვება. ამ აზრის დასამტკიცებლად ერთ-ორს მაგალითს მოვიყვან, მაგრამ ისეთებს-კი, რომლებიც ცხადად დაუმტკიცებენ მკითხველს, რომ ბ-ნ ნათაძეს არც თითონ ესმის ხეირიანად, რასაც ბავშვებისათვის სწერს. უშინსკის თავისს სახელმძღვანელოში (იხ. Родн. слов. ч. I გვ. 64) აქვს სასაუბრო (გინდა კლასიფიკაცია) „Части головы, лица, ступни и кисти“. ბ-ნს ნათაძეს ეს სასაუბროც უთარგმნია, წაუმძღვარებია რა წინ ლექსი ,,რა ჩიტია?‘‘, როგორც ეს უშინსკის აქვს—Птичка. (იქვე). მაგრამ არ იკითხავთ, როგორ უთარგმნია? ინებეთ: „ნაწილები თავისა, სახისა (თუ პირისახისა?), ფეხის გულისა (?) და ხელის გულისა (?) გესმით? ის კაცი, რომელიც მასწავლებელთ მასწავლებლობასა სჩემულობს, იმ კაცს, რომელსაც უნდა და ძალიანაც უნდა ჩვენის ყმაწვილების აღზრდას სათავეში ჩაუდგეს, — кисть — ხელის გულად უთარგმნია და ступня — ფეხის გულად. ქართველის მასწავლებლების ამაზედ მეტად სასაცილოდ აგდება შეიძლება-ღა განა?!. ხელის გული ხომ „ладонь“ არის. შეუძლებელია, რომ ეს თითონ „მოკეთის ავტორმაც“ არ იცოდეს... მაშ საიდგან წარმოიდგა ასეთი შეუწყნარებელი შეცდომა?... იქიდგან, ჩემო ბატონო, რომ, თუმცა ბ-ნი ნათაძე მასწავლებელთა მასწავლებლობას ებღაუჭება, იგი ავტორიტეტების ბრმად ამყოლი და თაყვანის-მცემელია. ავხსნათ. განდიდება-გამდიდრების მადა აშლილს „ბავშვების მოკეთის‘‘ ავტორს გადაუშლია ჩუბინაშვილის ლექსიკონი და ამოუკითხავს რა იქ ступня—ფეხის გულიაო, ჩაუწერია თარგმანში; кисть ის ნახვაკი დაზარებია და იმისი თარგმნა თითონ უკისრნია ანალოგიით, შეუთხზავს—ხელის გული. ამიტომ ვამბობ, შეუთხზავს მეთქი, რომ ბ ნს ჩუბინაშვილს ეს სიტყვა— кисть ხელის ჩონჩხადა აქვს ნათარგმნი. იქნება თავის დასაძვრენად ბ ნმა ნათაძემ სთქვას, რომ ჩემი „ხელის გული“ და „ფეხის გული“ უშინსკიდგან ნათარგმნი არ არისო. ამ შემთხვევაში ვთხოვთ ახალ-მოდის „პედაგოგს“ ხელის ან ფეხის გულის ნაწილები დაგვისახელოს. მაშ რაღა აზრი აქვს იქვე ქვეშ მოწერილ კითხვას —„ხელის გული“? (ვითომ რომლის ნაწილიაო). უეჭველია, ბ-ნი ნათაძე იტყვის ხელის გული ხელის გულის ნაწილია, (რადგანაც ის არც ერთ ზემოდ დასახელებულის ნაწილების ნაწილს არ შეადგენს) და სწორედ ავტორის შესაფერი თუ საკადრისი პასუხიც იქნება.

უშინსკის ასეთი კლასიფიკაცია აქვს: Орудія и сбруя (გვ. 31), შემდეგ (გვ. 33) „Зданія, суда и экипажи“. ბ-ნს ნათაძეს ეს კლასიფიკაციები შეუერთებია და გამოუყვანია „იარაღი და შენობა“, რაც ერთმანეთს ისე უდგება, როგორც წყალი და ზეთი. ამას კიდევ ჯანი გავარდეს, უფრო შეუწყნარებელი შეცდომები რომ არ მოსდიოდეს. იარაღები დაყოფილი აქვს „სამეურნეო იარაღებად და საომარ იარაღებად.“ (იხ. გვ. 44). სამეურნეო იარაღთა შორის ჩამოთვლილია სახნისი, გუთანი, ფარცხი, ნამგალი.,. ჩაქუჩი, სადგისი, ნემსი (?), მაკრატელი, დანა, ჯაყვა და სხვ... გესმით, ბატონებო, ახლად მოვლენილი პედაგოგი ჰბრძანებს: „ნემსი სამეურნეო იარაღიაო“, და თქვენც უნდა დაიჯეროთ, მეტი რა გზა გაქვთ! მე რომ თქვენის ახირებულის ხასიათის ამბავი ვიცი, ამასაც აიტეხავთ, რომ Григорій ქართულად გრიგოლ ან გრიგოლი არისო, რის გამოცა ჰხმარობთ: გრიგოლ ორბელიანი, გრიგოლ ეპისკოპოსი, გრიგოლ მღვდელი და სხვ., მაგრამ ძალიან შემცდარი იქნებით, ბ ნი ნათაძე გვიმოძღვრებს, Григорій ქართულადაც გრიგორი არისო (იხ. 115 გვერდი).

ასეთის ცოდნის პატრონი გადმომდგარა კათედრაზედ და ამაყად დაგვძახის—ვინა ჰყრიხართო! ჯერ ჩემი გადმომახინჯებული სახელმძღვანელო გაიზეპირეთ და ისე მელაპარაკეთო!..

ბ.ნ ნათაძისთანა „განათლებულმა“ კაცმა რაც უნდა გვაკადროს უბრალო მომაკვდავ მასწავლებლებს, არ გვეწყინება და არც გვეტკინება. მაგრამ „ბავშვების მოკეთის“ ვითომდა ავტორისაგან თავისის წიგნაკის ქება

თვალებს. არ შეიძლება შევიტყოთ, რას აკეთებენ და რა გზას ადგანან მაგ ამხანაგობის წევრები?

გამ. წევ. არღუთინსკი-დოლგორუკი. ამ ამხანაგობის წევრებს მდიდარი მწარმოებელნი შეადგენენ, თუმცა იმათ თხოვნაზედ ბევრსა აქვს ხელი მოწერილი, მაგრამ მონაწილე სულ 5 ან 6 კაცია.

ხმ. ბაბოვი. როგორც გამგეობა, ისე საბჭო წინად ამხანაგობის არსებობაში დარწმუნებული იყო. თუ ეხლა საბჭო ეჭვის თვალით უყურებს, ისა სჯობია კომისია ამოვარჩიოთ და იმან გამოარკვიოს ყველაფერი.

ხმ. ოზოწანინი. გინდაც რომ ამხანაგობა იყოს, მაინც ეგ არაფერსა ნიშნავს. ხშირად ერთი კაცი უფრო პატიოსნად იქცევა, ვიდრე მთელი საზოგადოება. ამიტომ ჩემის აზრით უმჯობესია ახალი საჯარო ვაჭრობა დაინიშნოს.

ბოლოს საბჭომ დაადგინა გააუქმოს უკვე მომხდარი საჯარო ვაჭრობა და ერთის წლის შემდეგ ახალი ვაჭრობა მოახდინოს. ხოლო იმ დრომდის ხსენებული აგარაკი საქონლის გამშენებელ ამხანაგობას გადასცეს. ამასთან ამოარჩიეს კომისია, რომელმაც ამ აგარაკის საქმეთა შესწავლა-გამორკვევას უნდა შეუდგეს. კომისიის წევრებად ამორჩეულ იქმნენ: ა. ი. თაიროვი, თავ. პ. მ. არღუთინსკი-დოლგორუკი, ა. ზ. ევანგულოვი, ა. ა. ქალანთარი, ვ. ი. პახომოვი და ოსტროგორსკი.

შემდეგ საბჭომ მოისმინა გამგეობის მოხსენება გადამდებ ავადმყოფობასთან საბრძოლველად საჭირო ფულის გადადების და თავ-შესაფრების შესახებ.

გამგეობა თავისს მოხსენებაში ამბობს, რომ ტფილისში ამ ბოლოს დროს უცხო ქვეყნებიდგან გადმოსახლებულთა წყალობით სხვა-და-სხვა გადამდები ავადმყოფობა გავრცელდაო. ამიტომ საჭიროა გადაიდოს ფული ამ ავადმყოფობის წინააღმდეგ საბრძოლველადაო. გარდა ამისა, ტფილისში მრავალი უსახლ-კარო და უბინაო ხალხია, რომელიც ვინ იცის, სად ათენებს ღამეს და სად არაო, იმათთვის საჭიროა ორი თავ-შესაფარი იქმნას დაარსებული ერთი მე X ნაწ., მეორე მე-VI.

საბჭომ ცოტაოდენის კამათის შემდეგ დაადგინა დააარსოს ორი ღამის თავ-შესაფარი, თითო ას-ასი კაცისათვის. გადასდოს ამისთვის 4800 მანეთი და 500 მანეთიც ჩაისა, ცხელი წყლისა და სხვა მოწყობისათვის და ამოირჩიოს კომისია, რომელიც განაგებს მათ.

ბოლოს კენჭის ყრით ამოირჩიეს იმ კომისიის წევრები, რომელთაც სახელმწიფო გადასახადი უნდა გააწერონ. ამორჩეულ იქმნენ: ბ ნნი კანდურალოვი, ი. გ. მელიქოვი, ა. ი. თაიროვი, ნ. ი. თამამშევი, ლ. ფ. ტიგრანოვი და ა. ზ. ტერ-ასატუროვი.

კრება 11 საათზედ დაიშალა.

◆

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

სოფ. აკეთი. 1 ნოემბრიდგან აკეთში და მახლობელ სოფლებში ულევლად სწვიმს და თოვს, რის გამოც მეტად შეწუხებულნი არიან მცხოვრებნი, რადგან ზამთრისათვის მოუმზადებელნი დარჩნენ. ყველაზედ ცუდ მდგომარეობაში არიან აკეთის ორკლასიანი სკოლის მასწავლებლები მოსწავლეებითურთ: აკეთის საზოგადოებაში არის პატარა მდინარეები, რომლებიც ცუდ ამინდში ისე ადიდდება, რომ არა თუ მოსწავლე პატარა ბავშვებს, დიდებსაც უჭირთ უცხენოდ გასვლა. 15 დღეზედ მეტია, რაც აკეთის ორ-კლასიანს სკოლაში იმ 150 ბავშვს შორის, რომლიც სკოლაში ირიცხება, 40—50 მოსწავლის მეტი არა ყოფილა. იმედია, აკეთის მამასახლისი, რომლიც სკოლის მზრუნველადაც ითვლება, ყურადღებას მიაქცევს ამ გარემოებას და გააკეთებინებს მცხოვრებთ ბოგირებს; მცხოვრებნი დიდის სიამოვნებით გააკეთებენ ხიდებს, მხოლოდ საჭიროა მამასახლისმა საქმე ითავოს.?

შესაბრალისს მდგომარეობაში არიან აგრეთვე აჭარის სასწავლებლის მოსწავლენი სიღარიბისა და უშეშობის გამო. რა ცოდნა უნდა მოსთხოვოს სოფლის მასწავლებელმა თავისს მოსწავლეებს, როდესაც იმათ წიგნები, რვეულები და სხვა სასწავლო ნივთები არა აქვთ, ზამთარში ფეხზედ არ აცვიათ, (ზაფხულში ხომ მაგალითიც არა ყოფილა, რომ ფეხზედ ჩაცმული მოსწავლე მენახოს), ტანზედ დაკონკილ-და გლეჯილ ტილოს, ანუ ჩითის ტანისამოსის ამარა მაგმაგობენ სკოლაში. გულმოსაკლავ სურათს წარმოადგენენ წელამდის დასველებული მოსწავლეები, რომლებიც ადიდებულ მდინარეებში გამოსულან და რომლებსაც სკოლაში ცეცხლიც არ უხვდებათ, რომ გათბნენ და გაიმშრალონ ტანისამოსი.

მასწავლებელი ა. გეგეჭკორი

სოფ. ვარძია, (შორაპნის მაზრა). ეს ორი წელიწადია, რაც სოფ. გარძიაში ერთ კლასიანი სასწავლებელი დაარსდა, მაგრამ მცხოვრებნი კი მალიან გულ-ცივად ეკიდებიან ამ სასწავლებელს.

მცხოვრებთა რიცხვი სოფ. გარძიაში აღემატება რვაას კომლს და სასწავლებელში-კი ვერა ჰნახავთ თხუთმეტ-თექვსმეტ მოწაფის მეტს. განა ამდენ მცხოვრებში ამათ მეტი ბავშვი არ მოიძებნება? მაგრამ ეს იმისი ბრალია, რომ სწავლა განათლების გემო ჯერ გარძიაში არ გაუგიათ. გლეხი იმ აზრისაა: თუ მე არ მისწავლია, ჩემს შვილს რად უნდა სწავლა, იმისი სწავლა ის არის, რომ კარგად მოხნას და გათოხნოს მიწა, სხვა იმას არაუნდა-რაო. ჩვენი სასწავლებელი დაარსებულია გლეხების ხარჯით. ყველამ უნდა შეიტანოს თავისი ხვედრი ფული. აჭარები შარშან, რა-კი ვეღარ შესძლეს ფულის გადახდა, მისცვივდნენ და მთლად დაამტვრიეს აჭარობა, რის გამოც რამდენიმე კაცი იქმნა დაპატიმრებული.

ამის შემდეგ მთავრობამ მაინც დააარსა გარძიაში ორ-კლასიანი სასწავლებელი... შენობა იქნება ხისა, ერთ სართულიანი და ექმნება ორი ოთახი სასწავლებლისათვის, ერთი დარბაზი და ხუთი ოთახი მასწავლებლებისათვის. ამ სასწავლებლის ასაშენებელი ფული 2,050 მან. მამასახლისმა უნდა აიღოს მცხოვრებთაგან შენობის აშენების შემდეგ. მამასახლისის სიტყვით, შენობა უნდა მოთავებულიყო ამ შემოდგომაზედ, მაგრამ სხვა და-სხვა მიზეზის გამო მგონი მეორე შემოდგომამდის დარჩეს. მალიან კარგს იზამს მამასახლისი, რომ სასწავლებლის აშენებას დაუჩქარებდეს...

ტ. ვარძიელი

◆

რუსეთი

—

ამ ჟამად მთელს რუსეთში სახელმწიფო შემნახველ კასსების რიცხვი, საფოსტო განყოფილებებთან დაარსებულ კასსებიანად, ორი ათასამდისაა. ამ კასსებიდგან სახელმწიფოს, ხარჯს გარდა 2 მილ. მან. შემოსავალი აქვს და გადაწყვეტილ იქმნა, რომ ამის შემდეგ კასსაში შესანახად ერთხნობით მიიღონ ხოლმე 30—150 მანეთამდის.

— მიწათ მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ წარუდგინა სახელმწიფო საბჭოს მისდა განსახილველად მომავალ 1898 წ. ხარჯთ აღრიცხვა. მიწათ მოქმედების დეპარტამენტის სამის განყოფილების აზრით, მომავალ წელს 3,202,863 მან. შემოსავალი იქმნება, ხარჯი-კი 5,189,371 მან. 1898 წლის შემოსავალი გადააჭარბებს წრევანდელს 362,556 მან., ხოლო ხარჯი კი 843,043 მანეთით.

— მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსთან დაარსდა განსაკუთრებული კომისია მიწათ-მოქმების დეპარტამენტის დირექტორის ნ. ა. ხომიაკოვის თავმჯდომარეობით და შინაგან საქმეთა სამინისტროს და საერო განათლების სამინისტროს წარმომადგენლების თანადასწრებით. კომისიამ უნდა შეიმუშავოს პროექტი ხსენებულ სამინისტროსთან დასაარსებლად განზრახულ სამკურნალო-აღმზრდელ სასწავლებლისა.

— განზრახვა აქვთ ქ. პეტერბურგში ახალი საზოგადოება დააარსონ, რომელიც იკისრებს მიცვალებულთა გვამის დაწვას, დაკრძალვის მაგიერ.

— ამ ჟამად ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ სანავთ სადგურო გარდასახადის წეს-რიგში საჭიროა ცვლილებანი იქმნას შემოღებული, რადგან აწ არსებული გარდასახადი დიდია და ხელს უშლის ვაჭრობის გაძლიერებასაო. შეიძლება ზოგიერთა

და „დედა-ენის“ ძაგება-კი ძალიანა გვწყინს და აი რადა: შეიძლება „დედა-ენასაც“, როგორც ყოველსავე კაცის ნამოქმედარს, ჰქონდეს ნაკლულევანება, მაგრამ „ბავშვების მოკეთეზედ“-კი იმდენად მაღლა სდგას, რომ ამ სახელმძღვენელოების შედარებაც-კი „დედა-ენის“ დამცირებად მიმაჩნია.

სასაუბროების თარგმნაში რა უნარიც გამოიჩინა ბ-ნმა ნათაძემ, ეს ზევით ვნახეთ. ეხლა მინდა ამ სახელმძღვანელოების ლექსები შევადარო ერთმანეთს გაკვრით. დავიწყოთ რიცხვიდგან. „ბავშვების მოკეთეში“ 45-მდის ლექსია მოთავსებული წვრილი და სხვილი, „დედა-ენაში“—78-დის, თითქმის ორჯელ მეტი. „ბავშვების მოკეთეში“ მოქცეულ ლექსებს შორის 10 „დედა-ენიდგან“ არის ნასესხი, თუმცა ზოგიერთი მათგანი გადასხვაფერებული, ვითომ გასწორებული. ვნახოთ. ლექსი „ხარი“ „დედა-ენაში“ ასეა ჩაწერილი:

„ორშაბათობით აშენდა ციხე-ქალაქი კლდეზედა,
გარს გალავანი არტყია, ცა ახურია თავზედა;
ადამიანის შენახვა ვერავინ იდვა თავზედა,
ხვნა, ფარცხვა, ზიდვა სარჩოსი გასჭირდა მეტად ძალზედა.
ხარმა სთქვა, პირმა ნათელმა, მე დავიწერავ თავზედა.
მოცვივდნენ ანგელოზები, დაჰკოცნეს ორთავ თვალზედა;
ჩამოქნეს წყვილი სანთელი, მიაკრეს ორთავ რქაზედა.

„ბავშვების მოკეთეში“ სწერია...

ადამიანის შენახვა ვერავინ იდო თავზედა.,.
ხარმა თქვა პირმა ნათელმა: „მე დამაწერეთ რქაზედა!“
მოცვივდნენ ანგელოზები, აკოცეს ორსავ თვალზედა,
დაანთეს წყვილი სანთელი, მიაკრეს ორსავ რქაზედა.

როგორცა ჰხედავს მკითხველი, ბ-ნს ნათაძეს ასეთი მშვენიერი სიტყვები: ხვნა, ფარცხვა, ზიდვა სარჩოსი გასჭირდა მეტად ძალზედა“ გამოუტოვებია, რაც, ჩემის აზრით, მეტის-მეტი მეცნიერებაა და სხვა არაფერი, მით უმეტეს, რომ სიტყვა „სარჩო“ მგონია მთელს წიგნში არსად არის ნახმარი. „მე დავიწერამ თავზედა“ სჯობია „მე დამაწერეთ რქაზედას“. „ჩამოქნეს წყვილი სანთელი“ და სხვ... ტყუილად გადუკეთებია. პირველ-შემთხვევაში ახალ სიტყვასა სწავლობს ყმაწვილი „ჩამოქვნა“, „სანთელი ჩამოქნეს“. გარდა ამისა, მე მგონია „დაანთეს და მიაკრეს სანთელი“ ვერ არის კარგი ქართული, აანთეს და მიაკრეს უნდა ყოფილიყო.

აქ შეიძლება როგორმე გაიმართლოს თავი ბ-ნმა ნათაძემ: ლექსი ხალხურია, ხალხში მე ასე გამიგონიაო, და ამ რიგად თავისი შეცდომა სხვას გადააბრალოს. მე-კი მაინც იმას ვიტყვი, რომ „დედა-ენიდგან“ გადმოწერა, ათჯერ და ოცჯერ სჯობდა ამ ცრუ ორიგინალობას. ჰო! თუ ხალხურზედ ამას იტყვის, მაშინ პოეტური ნაწარმოების გადამახინჯებას, გადაკეთებას, იმ პოეტისას, რომელიც ისევ ცოცხალია, რა პასუხს გასცემს?! მე მოგახსენებთ რ. ერისთავის ლექსისას: „მევენახის სიმღერა“. (იხ. ამხ. გამოცემა), რომელიც ბ. ნათაძეს „ვაზად“ გადუკეთებია და ყურძნის მტევნის ქვეშ მოუწერია. ეს კიდევ არაფერი, თვით ლექსსაც უსწორებს მოხუცს პოეტს ჯეელი პედაგოგი. რ. ერისთავი და მასთან ი. გოგებაშვილი სწერს:

„ვაზო, შვილივით ნაზარდო, ულვაშებ გადგიგრეხია,
ჩაჰკონებიხარ ჭიგოსა, შუაზედ გადგიტეხია.“

ბ-ნი ნათაძე სწერს:

ვაზო, შვილივით ნაზარდო ულვაში
დაგიხრეხია (?) (ალბათ შეცდომაა)
ჩაჰკონებიხარ ჭიგოსა, შუაზე გაგიტეხია.

დიდი პოეტური ალღო არ არის საჭირო, რომ კაცმა პირველი ლექსი ამჯობინოს მეორეს. კმარა!

მაგრამ ერთი პატარა შენიშვნა კიდევ. თ. ერისთავი სწერს: „გაგფურჩქნო, გაგალამაზო და სხ. ბ-ნი ნათაძე-კი სწერს: „შეგფუჩნო, გაგალამაზო და სხ. ი. გოგებაშვილის ნახმარ—„შეგფურჩქნოცკი“ დაუწუნებია. ღირსეულადაც მოქცეულა. რათ უნდა მიელო ან ერთის ან მეორის ფორმა, როდესაც თითონ ერთსაცა და მეორეზედაც უკეთ იცის ხალხური და ლიტერატურული ენა.

ორიოდე სიტყვაც. „დედა-ენაში“ (გვერდი 52) არის ლექსი „კამეჩი“, რომელიც ასე იკითხება:

„კამეჩი წევს და იცოხნის,
თავის ამინდი ჰქონია,
ლაფში ჩაფლული ურემი
შინ მიტანილი ჰგონია.

ბ-ნს ნათაძესაც უპოვნია სადღაც ლექსი „შავ კამეჩს“ და ჩაუკოწიწებია. (58 გვ.)

„გენაცვა, შაო კამეჩო,
რა დავაშავე შენზედა?
ზაფხულს გითიბე ბალახი,
ზამთრივ დაგაბი ხლვეზედა“.

შეადარე, მკითხველო, ეს ორი ლექსი ერთმანეთს და დარწმუნდები, რომ პირველი ლექსი აზრიანი და ამის გამო შემრგო და ადვილი მოსანელებელია, ხოლო მეორე რაღაც აბდა უბდა—გადასკუპდაა. განსაკუთრებით კარგია ეს—„რა დავაშავე შენზედა“. ვინ დააშავა, რა დააშავა? იმედია, მასწავლებლებს რომ სახელმძღვანელოს შევვიდგენს, იქ მაინც არას აგვიხსნის ამას ბ-ნი ნათაძე.

ამაზედ ნაკლები აღარც მეორე ლექსია, რომელსაც „ლალა და ნიკორა“ ეწოდება. აი ლექსიც (61 გვ.)

„ნიკორამ უთხრა ლალასა.
„ლალავ ნუ სჩადი მაგასა (?);
შეგიტყობს შენი პატრონი,
უღელს გაგითლის მაგარსა;
გაგითლის კაი სახრესა,
ამოგკრავს მაგარ-მაგარსა;
თივა ქერს აღარ გაღირსებს,
მოგიყრის ნაცარ-ნაგავსა.

ვინც ამ სამდურავის მიზეზს „ლალავ ნუ სჩადი მაგასა?“ გამოიცნობს, მე, ამის ქვემორე ხელის მომწერელი, გაუგზავნი საჩუქრათ ძვირფასს ყდაში გაკეთებულს „ბავშვების მოკეთეს“. რასაკვირველია, თუ უცხო ვინმე გამოიცნობს და არა ავტორი, რადგანაც დარწმუნებული ვარ, რომ იმას უამისოდაც ბლომად ექმნება თავის მიერ შედგენილი „მოკეთე“.

არა ნაკლებ საყურადღებოა დამახინჯებული ლექსი „მუხა“ (გვ. 93).

„მუხავ, ჩემო დაკლაკნილო,
მაღალო და რკოიანო!
მიყვარს მაგ შენი ფოთლების
ჩუმ-ტკბილი საუბარია,
სდგეხარ და შესცქერ ზევით ცას
კაშკაშ და მოელვარესა,
ძირს ყვავილებით მოფენილს
ზურმუხტის არემარესა.

თითქმის წიგნაკის ბოლოს—126 გვერდზედ ასეთი ლექსია დაბეჭდილი სათაურით: „შორეულს სტუმარს“.

„შენ, შორეულო სტუმარო,
ადგილსა ზიხარ ხმელასა,
ადექ და ჩემკენ წამოდი,
ფეხი არიდე ყველასა“.

სწორედ ძნელი გამოსაცნობია, რისთვის არის დაბეჭდილი ეს ყოვლად უაზრო ლექსი, ან ის რა სტუმარია, რომელიც ადგილსა ზის „ხმელასა“. ბ ნ ნათაძისა არ ვიცი და მე-კი ეს ლექსი უსაქმო კაცის ჩხირკედელაობა უფრო მგონია, ვიდრე პოეტური ნაწარმოები.

ზევით დაგვრჩა ერთი ლექსი. „თოფი“ (გვ. 46)., რომელშიაც თოფი თავისს თავს აქებს და შემდეგ ამბობს: „ნეტავი გაყურებინათ ჩემი დაჭრილის წუხილი!“ ვითომ ძალიან სასიამოვნო დასანახი იყოს!... გარდა ამისა ლექსი იწყება ასე: „თოფმა სთქვა: „ჩემსა წამალსა შვიდ პირად უნდა დუღილი“ და სხვ.. ნეტავ ვიცოდე, თვით ბ ნი ნათაძე როგორ უხსნის ხოლმე მოსწავლეებს „შვიდ პირად უნდა დუღილი“-ო.

ივ. გ—რი

◆

გარდასახადი სრულიად გაუქმებულ იქმნას, როგორც, მაგალითად ის გარდასახადი, რომელსაც ქალაქი თავისს შინაურ საჭიროებას ახმარებს და დაწესებულ იქმნას ისეთი, რომელიც ნავთ-სადგურის გაუკეთესებას უნდა მოხმარდესო.

— ქ. ხარკოვის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წევრთ საზოგადო კრებაზედ დაადგინეს თურმე: დააარსონ სახალხო თეატრი და აგრეთვე ნელ-ნელა ხელი შეუწყონ და განახორციელონ ის აზრი, რომ წერა-კითხვის სწავლება მთელის გუბერნიის მცხოვრებთათვის სავალდებულო გახდესო.

— მინსკის სასოფლო სამეურნეო საზოგადოება, რომელსაც კიევის სოფლის მეურნეთა კრებამ თანაგრძნობა გამოუცხადა, შუამდგომლობს იმის შესახებ, რომ მომავალ წელს მთელის რუსეთის მეურნეთა. კრება იქმნას გამართული. კრებამ უნდა მოილაპარაკოს იმის შესახებ, რომ მეურნეთათვის სავალდებულო გაჰხადონ პირუტყვის დაზღვევა უბედურ შემთხვევის დროს პატრონთა უზრუნველ საყოფელად.

— სახელმწიფო საბჭომ 3 ნოემბრის სხდომაზედ დაადგინა, რომ ნება მიეცეთ ხოლმე მუსულმანთ საკრებულო დარბაზებში ქუდ-მოუხდელად დგომისაო.

◆

უცხოეთი

ავსტრია. ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ ავსტრიის პარლამენტის უკანასკნელ კრებაზედ საშინელი არეულობა მოხდა. არც ერთის ქვეყნის პარლამენტი ჯერ ასეთის ჩხუბისა და აურ ზაურის მოწმე არა ყოფილა. მთელი დარბაზი საყელოებით, ყელსახვევებით, ღილებით, ტანისამოსის ნაგლეჯებითა დ̃ ნაფლეთებით იყო სავსე. დეპუტატმა ნემენცმა პფერშმა ჯიბიდგან დანა ამოიღო და აქეთ-იქით დაიწყო ქნევა. „მე იძულებული ვიყავი, სთქვა თურმე შემდეგ პფერშმა, დანა ამომეღო, ისე დამიწყეს აქედ-იქითგან ცემა“. დეპუტატები გესმანი და მაიერი მსუბუქად დაიჭრნენ. როდესაც დეპუტატ ვოლფს საქმე გაუჭირდა, შენერერი საშველად გაექანა იმისკენ, დაავლო მინისტრის უზარმაზარს სკამს ხელი და ის იყო პოლონელებისა დ̃ ჩეხელებისთვის უნდა დაერტყა თავში, რომ კათოლიკეთა დასის დეპუტატმა ჰაგენგოფესმა გამოსტაცა ხელიდგან სკამი და უშიშარ ადგილას დასდო. მაშინ შენერერმა მეორე სკამს დაავლო ხელი და როდესაც მოიქნია, მსუბუქად დასჭრა თავისისავე დასის მომხრე დეპუტატი დიორბერი. ყველაზედ მეტი ვოლფსა და შენერერს მოხვდა, რომელთაც ზოგი თავში უშენდა მუშტებს და ზოგი კიდევ გვერდებში. წვერები სულ დააგლიჯეს შენერერს. დეპუტატის ვოლფის ცოლი გალერეიაში იჯდა, უყურებდა ამ სცენებს და მწარედ სტიროდა. დეპუტატს გონის ცხვირი გაუტეხეს.

ნემენცთა დასის მომხრენი ყოველ ამ არეულობის მიზეზად ასახელებენ ახალგაზდა ჩეხებს: ბრჟეზნოვსკის, პოსპიშილს და ვიხოდილს, პოლონელთა დეპუტატს გლეხს პოტაჩეკს და სლოვანეცს შუკლეს, მაგრამ ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ნემენცები შენერერი და ვოლფიც იმათ არ ჩამორჩებოდნენ. კრების დაწყებისათანავე მათ უშვერის სიტყვებით დაუწყეს ლანძღვა პრეზიდენტს აბრაგამოვიჩს. ჩეხელები ურჩევდნენ დაწყნარებულიყვნენ, მაგრამ დაწყნარების ნაცვლად ნემენცთა დასის წევრები აცვივდნენ პრეზიდენტის ესტრადაზედ და დაუყვირეს ჩეხებს: ,,აბა ერთი გაბედეთ რამე და გაჩვენებთ თქვენ სეირსაო!“ ამავე დროს დეპუტატი გლენკერი ფინანსთა მინისტრის სკამზედ ჩამოჯდა და ჩეხებს მიჰმართა, — მოდით, მინისტრობას ჩაგაბარებთო.

პრეზიდენტს აბრაგამოვიჩს აზრადა აქვს დამნაშავენი სამართალში მისცეს.

◆

ნაკვესი

— რა არის, რომ სულ შენს თავს ელაპარაკებიო? ჰკითხეს ერთს კაცს.

— რა ვქნა, მიყვარს ჭკვიანსა და გონიერს კაცთან საუბარიო, — უპასუხა. თავის ქებაც ასეთი უნდა!

◆

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

პარიჟის გამოფენისათვის, რომელიც 1900 წელს უნდა გაიმართოს, ამზადებენ ერთს შესანიშნავს უშველებელ აუზს. ეს აუზი წარმოადგენს უშველებელს დარბაზს, რომელშიაც იქმნება ყოველ გვარი თევზი, ცხოველი და მცენარე, რომელიც-კი მოიპოვება ოკეანეში. აუზში მოთავსებული იქმნება ზღვაში დაღუპული და დაზიანებული გემები. ხალხი თავისის თვალით დაინახავს, როგორ დაცურავს აქა და როგორა სცხოვრობს ზღვის ყოველივე ცხოველი. ამავე აუზისა, ანუ, თუ გნებავთ, დიდის შუშის დარბაზის მეორე განყოფილება წარმოადგენს სამხრეთ ოკეანეს; აქ არის ყოველივე ცხოველი და მცენარე, რომელიც-კი სამხრეთ ოკეანეში მოიძებნება. მეორე მხარე კიდევ წარმოადგენს ჩრდილოეთის მხრის ცივს ზღვას და იქაურს ყინულებსა. ამავე უზარმაზარ აუზში ჰნახავთ ადამიანთ, რომლებიც შუშის ზარის ქვეშ მუშაობენ. გაზეთი „Temps“ სწერს, რომ ეს აუზი ჯერ ერთი, სწორედ საუცხოვო და სასიამოვნო სანახავი იქმნებაო და მეორეც, აქ ყოველი კაცი საკმაოდ გაიგებს მრავალგვარ ცნობას, ზღვის ცხოვრების შესახებაო.

* * *

ეხლახან ასხაბადში დაბრუნდა სამთო ინჟენერი მ. ი. ლანი, რომელიც იმიერ-კასპიის უფროსის ა. კურპატკინის მიერ იყო გაგზავნილი ნავთის ადგილების გასასინჯად, ეგრედ წოდებულ ნავთის მთაზედ, სადგურ ბალლა იშემიდგან 30 ვერსის მანძილზე. ინჟენერი ლანი ამ ადგილებს იკვლევდა მარტის დამდეგიდგან მარიამობისთვის დამლევამდე. ბ-ნს ლანს უნდა გაენაწილა ეს მთა ოთხ ნაჭრად, ერთი რკინის გზისათვის დაეთმო და დანარჩენები-კი კერძო კაცებისათვის მიეცა საწარმოებლად. ამ ადგილებით უწინ რკინის გზა სარგებლობდა, მაგრამ 1887 წლიდგან ბაქოს ნავთი ძლიერ დაეცა და მას აქედ, იქ მუშაობა სრულიად აღკვეთეს. უწინ ეს ნავთის ადგილები გამოიკვლიეს ინჟენერებმა კონშინმა და სიმონოვმა. მაგრამ, სამწუხაროდ, რკინის გზის მმართველობას ამ საქმის შესახებ ცნობები არ შეჰრჩენია. ამგვარად ეხლა ინჟენერს ლანს ხელმეორედ დასჭირდა ზემოხსენებულ ნავთის გამოკვლევის ადგილები, ბ-ნ ლანის აზრით, აქ საკმაო ნავთია, განსაკუთრებით ჩრდილოეთის მხარეს. ინჟენერმა მრავალ ადგილას აღმოაჩინა ნავთი, სხვათა შორის ადგილობრივნი მცხოვრებელნიც სთხრიდნენ ჰებსა და ნავთი ამოჰქონდათ. ინჟენერი ლანი თავისს გამოკვლევას დაწვრილებით მოახსენებს იმიერ-კასპიის უფროსს. ადვილი შესაძლებელია, რომ სულ მოკლე ხანში შუა-გულ აზიას თავისი ნავთი ექმნება და ეს გარემოება, რა თქმა უნდა, დიდად შეუწყობს ხელს მრეწველობასა და ვაჭრობის განვითარებას.

◆

სოფ. აკეთის (გურია) წიგნთ საცავის მდგომარეობა.

1893 წლიდგან სოფ. აკეთში არსებობს გურიის სახალხო წიგნთ-საცავი. როგორც მისი სახელი ამტკიცებს, ამ წიგნთ-საცავის დამაარსებელთ აზრად ჰქონდათ ეს წიგნთ-საცავი ყოფილიყო უმთავრესი მთელს გურიაში, ხოლო სხვა-და-სხვა სოფლებში უნდა ჰქონოდა განყოფილებანი. ამ აზრის მისაღწევად საჭირო იყო წიგნთ-საცავის გამდიდრება, რომ შესძლებოდა განყოფილებათა გამართვა, მაგრამ წიგნთ-საცავის საქმე უკუღმა დატრიალდა: ყოველმა სოფელმა მოინდომა თავისათვის საკუთარის წიგნთ-საცავის დაარსება; ამ მიზეზით გურიის სახალხო წიგნთ-საცავს წევრები შემოაკლდა. რაკი საქმე ასე წავიდა, ერთად-ერთი საშუალება ის-ღა იყო, რომ აკეთლებს შეენახათ წიგნთ-საცავი. ამის გამო კრებაც მოხდა. კრებაზედ დამსწრეთ და ზოგმა არა-დამსწრემაც სიამოვნებით მოაწერეს ხელი საწევრო სიას: მასწავლებელმა კ. ჭეიშვილმა—3 მან., ჯამულეთ ბაყუნაიშვილმა—3 მან., ვლ. ცქვიტიშვილმა—2 მან., მღ. პავლე კიღურაძემ—5 მან., დიომიდე გოგიტიძემ—2 მან., მაკა კობალაძისამ—1 მან., მართა თავდგირიძემ—1 მან., ასთინე გოგიტიძისამ—1 მან., მაკა ჯაყელის ასულმა—1 მან., ვისია თავდგირიძემ—1 მან., იულო ბაყუნაიშვილმა—1 მან., გოგი დათუნაიშვილმა—1 მან., ვარლამ თოხაძემ—1 მან., ნინო ჯაყელისამ—1 მან., ოლინკა დათუნაიშვილისამ—1 მან., ნინო დათუნაიშვილისამ—1 მან., ვასასი ტოკვისამ—1 მან., ანდრია თავდგირიძემ—2 მან., ლავრენტი თოხაძემ—3 მან., მღ. ლავრენტი წულაძემ—3 მან., ვლ. ლომაძემ—1 მან., სოფიო თავდგირიძისამ—1 მ., გოგუცა თავდგირიძემ—1 მან., ელისაბედ მჭეიშვილისამ და მისმა რძლებმა—6 მან., როსტომ მგელაძემ—2 მან., ელენე ცოცხალაიშვილისამ—1 მან., ბესარიონ მგელაძემ—40 კ., ხოსო ბაყუნაიშვილმა—1 მან., ფილიპე მჭეიშვილმა—1 მან., პავლე ჩიჩუამ 40 კ., საბა გოგუაძემ 50 კაპ., ივანე წულაძემ—50 კ., სვიმონ ტოროტაძემ—3 მ., უცნობმა—1 მ., გიორგი თოხაძემ—1 მან., ნიკო თავდგირიძემ—5 მან., ივლიანე ჯაყელმა—1 მან., ვლ. შალიკაშვილმა—1 მ., ა. გეგეჭკორმა—5 მ. ეს ფული უნდა მოეხმარა წიგნთ-საცავს ამ 1897 წელში, მაგრამ წიგნთ-საცავს შემოუვიდა სულ 19 მანეთი და 17 კაპ, იმედია, დანარჩენებიც არ იკმარებენ მხოლოდ ხელის მოწერას და გარდაიხდიან, რაც აღუთქვეს წიგნთ-საცავს.

ამ ანგარიშიდგან ყველასათვის ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მდგომარეობაშიც უნდა იყოს ეს გურიაში პირველად დაარსებული წიგნთ-საცავი. ამიტომ ვსთხოვ ყველა ქველმომქმედთ და განსაკუთრებით იმ აკეთლებს, რომლებიც სხვა-და-სხვა ქალაქში იმყოფებიან, წიგნით თუ ფულით შემწეობა აღმოუჩინონ ამ სულთ-მობრძავს წიგნთ-საცავს, რომლის დღენიც დათვლილია, თუ ასე უყურადღებოდ დარჩა. ამასთანავე ვთხოვ იმათ, რომლებსაც გურიის სახალხო წიგნთ-საცავიდგან რამდენიმე წელიწადია წიგნები წაუღიათ, უკანვე დაუბრუნონ წიგთ-საცავს.

ა. გეგეჭკორი

◆

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

18 ნოემბერი

პარიჟი. დრეიფუსის საქმის შესახებ არავითარი ახალი ცნობა აღარ არის. დილით გენერალმა პელიემ არავინ მიიღო და იმ წერილებს იძიებდა, რომელიც „Eigaro“-ში იყო დაბეჭდილი.

ბერლინი. სეფე-სიტყვის წაკითხვის შემდეგ იმპერატორმა დასძინა: „ორის წლის წინად მე აქ, თქვენს წინაშე, შევფიცე პირველ გვარდიის ნაკურთხს დროშას, რომ იმპერიას ისე დავიცავ, როგორიც ჩავიბარე პაპიჩემისაგან დ̃ დავიფარავ-მეთქი გარეშე მტრისაგან. თქვენ აქ დასწრებით თავდებნი გახდით ჩემის ფიცისა. ვევედრები უზენაესს, დაგეხმაროთ თქვენ თქვენს საქმეში და დამეხმაროს მეც, რომ ამიერიდგანაც შემეძლოს დაცვა იმპერიის სახელისა, რომელსაც მე ისე ვაფასებ, რომ ამის გულისათვის ჩემი ერთად-ერთი ძმაც-კი დავთმე“.

20 ნოემბერი

პარიჟი. „Figaro“ს სიტყვით, პელიემ გამოუცხადა შერერ კესნერს, რომ დრეიფუსის დანაშაულობა დამტკიცებულ იქმნა უბოროტეროთაც, რომელიც გამოძიების საქმეში არც კი შეუტანიათო.

სენატის გუშინდელ კენჭის ყრის გა*ო, სჯულის საქმეთა მინისტრმა გამოუცხადა მელინს გადაეცით რესპუბლიკის პრეზიდენტს თხოვნა თანამდებობის განებების შესახებ. მინისტრთა საბჭო $6^1/_2$ შეიკრიბა.

პალატაში ხმა დადის, რომ თუ მელინი საჭიროდ დაინახავს თანამდებობას თავი გაანებოს, ახალი კაბინეტის შედგენას ისევ იმას მიანდობენო.

„Figaro“-ში დაბეჭდილია ზოლას წერილი, რომელშიაც ის ამტკიცებს, რომ დამნაშავეთა დასაფარად, აიძულებენ საფრანგეთს, რომ ნამდვილი დანაშაული ჩაიდინოს რადგანაც ასახელებენ დრეიფუსს, ,,რომელიც სხვის დანაშაულობას ისყიდის“-ო.

ამავე დროს გაზეთები იუწყებიან, რომ ზოლას ისეთი საბუთები აქვს, რომელნიც დრეიფუსის სიმართლეს ამტკიცებენო. „დრეიფუსი კატორგაში არ დარჩება, — უთქვამს ზოლას, — ამას მე ვეცდები“-ო.

იელნი. „კელნის გაზ.“-ს ლონდონიდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ ხანგრძლივის მოლაპარაკების შემდეგ ჩინეთმა დაუთმო ველიკო ბრიტანიას მატერიკის ნაწილი გონკონგის პირდაპირ.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად კეთილ ინება და ნება დართო იმპერიაში ყველგან ხელის მოწერა იქმნას გამართული კრიტის ყველა გაჭირვებულ მცხოვრებელთა სასარგებლოდ.

◆

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ გამგეობის სადგომში **27 ნოემბერს**, შუადღის 12 საათზედ, დანიშნულია **ვ ა ჭ რ ო ბ ა**, რომ იჯარათ გაიცეს საქმე მასალის მოპოვება-მოტანისა და მუშაობისა, რაც-კი დასჭირდება ქალაქის სახლის აგებას იმ ადგილას, სადაც წინად შიოევისეული ქარვასლა იყო, ქ. ტფილისის მეექვსე ნაწილში, აბანოების ქუჩაზედ. იჯარა უნდა გაიცეს 22.364 მან. 64 კაპ.

ვაჭრობის მსურველთ პირობებისა და გეგმათა დათვალიერება შეუძლიანთ გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში ყოველდღე, კვირა უქმეს გარდა, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე.

(4—ნ.—3)

„წერა-კითხვის საზოგადოების“

წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

	მან.	კაპ.
ქართლის ცხოვრება . .	8	„
იგივე ფრანგულად ნათარგმნი ბროსეს მიერ .	8	20
ქართლის ცხოვრება I წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა	„	40
ვეფხვის ტყაოსანი სურათებიანი მშვენიერის ყდით	10	„
ნ. ნიკოლაძის ნაწერები .	„	30
კეთილი ძაღლი	„	20
თხზულ. მამია გურიელისა	1	„
ქრონიკები თ. ჟორდანიასი	3	„
ისტორიული ნარკვევი, ალ. ჰყონიასი	1	50
ნ. ნიკოლაძე. ბიოგრაფია	„	20
აკაკი წერეთელი. გიოგრაფია . . .	„	15
ამირან-დარეჯანიანი .	1	„
ჩვენი ახალი მწერლობა სალარაძისა . . . . ,	„	40
ბუნება და ცხოვრება ი. ალხაზიშვილისა . . .	„	60
გედები საყმაწვილო წიგნი	„	20
პარტახი მოთ. ნინოშვილისა	„	20
ორი ეტიუდი	„	20
როგორა ცხოვრობდენ ადამიანები ძველად . .	„	25
სახალხო ლექსები და ლეგენდები . . .	„	20
საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა	1	›
საქართველოს ისტორია მ. ბროსესი	„	70
მეფე გიორგი ბრწყინვალე, ურბნელისა	„	20
ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე.	„	25
ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, მისივე	„	50
თამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა.	„	15
სვიმონ მეფე, მისივე . .	›	10
როსტომ მეფე, მისივე .	„	10
Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности проф. А. Цагарели. I выпускъ . .	1	25
II вып. . .	1	50
грамматической литературѣ грузинскаго Oязыка, его же . . .	„	50
Грамоты и другіе документы XVIII ст., его-же	3	
Очерки по исторіи грузинской словесности А. Хаханова	2	„
Грузинскіе дворянскіе акты, его же	›	60
Сигель грузинскаго Царя Баграта IV, Е. Такайшвили		60
Матеріалы для русской исторіи, его же . .	3	

Дозволено цензурою, Тифлисъ 20-го Ноября 1897 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე.**